1. მატებლის მჩერჩავები . . . . .	5	—	1	6	1,3	
2. მღებავები . . . . .	104	42	76	222	1,1	
3. ფეიქრები . . . . .	52	—	—	52	—	
4. მარტენშტამენი . . . . .	629	45	2258	2932	3,7	
5. კაზაზი . . . . .	10	3	3	16	0,6	
სულ	800	90	2338	3228	3,0	
VI. კალალდისა და ტყავის მრეწველობა						
1. წიგნის მკაზმავები (მკინძევები) . . . . .	38	76	57	171	3,5	
2. დაბალები . . . . .	308	87	99	494	0,6	
3. მეუნაგირები . . . . .	148	34	87	260	0,8	
4. სარაფები . . . . .	118	68	65	251	1,1	
5. ტყის მკეთებლები . . . . .	25	13	7	45	0,8	
სულ	637	278	315	1230	0,9	
ხის და ჩუქურთმიანი ნაკეთობების წარმოება						
1. მხერხავები . . . . .	354	43	—	397	0,1	
2. დურგლები . . . . .	556	47	575	1530	1,8	
3. ჰელენ დურგლები . . . . .	25	3	—	37	0,5	
4. მეცასრენი . . . . .	97	83	47	227	1,3	
5. კილობრივი მკეთებლები . . . . .	19	10	14	43	1,5	
6. მეცუბოვები . . . . .	95	4	20	110	0,3	
7. სარეცხოს მკეთებლები . . . . .	2	—	2	4	1,0	
8. ჯაგრისების მკეთებლები . . . . .	5	—	—	5	—	

<sup>1</sup> თა იგულისხმება კუთხოდ ამით, წყაროდან აო ჩანს.

1	2	3	4	5	6
9. ყუთების და კალათების მკეთებლები	17	2	—	19	0,1
10. კონდის შპრელნი . . . . .	1	—	—	1	—
11. ხარატები . . . . .	36	—	7	43	0,2
12 მეჩქენურომენი . . . . .	57	1	—	58	—
სულ	1264	563	656	2483	1,0
<b>VIII გემო-კვების მრეწველობა</b>					
1. ხაბაზები . . . . .	671	623	309	1603	1,4
2. მეკანიზირები (მეშაქარლამენი) და მეფუნთუმენი . . . . .	84	81	72	237	1,8
3 ყასძები . . . . .	47	29	6	82*	0,7
4. სახამძღვის გამომუვანი . . . . .	5	—	2	7	0,4
სულ	807	733	369	1929	1,0
<b>IX განსაცმლისა და ტუალეტის ნ. ვთების დაწიადება</b>					
1 ეკონომული ფეხსაცმლის მექანები <sup>1</sup>	1203	697	991	2891	1,4
2 ხარაზები <sup>2</sup> . . . . .	411	166	348	925	1,3
3. ფოსტების მერატები . . . . .	35	3	64	178	1,3
4. კონები . . . . .	79	21	47	191	0,6
5 მერატე მამაკაცები და მერატე ქალები	879	608	752	2259	1,5
6 მოდისტი და მექულე ქალები . . .	57	100	92	249	3,4
7 მექულე მამაკაცები . . . . .	184	155	122	461**	1,5
8 პარიუსახერები . . . . .	30	45	24	99	2,3
9 დალაქები . . . . .	68	87	190	945	0,4
სულ	3654	1914	2630	8198	1,2
<b>X. სამშენებლო ხელოსნობა</b>					
1 მექენიზები . . . . .	88	42	45	248	1,0
2 მღებავები . . . . .	122	70	56	175	1,0
3 შეარის გამერალნი . . . . .	43	7	20	75	0,6
4 მელაზელები . . . . .	141	54	71	266	0,9
5 მეცემელებები . . . . .	7	—	672	7	—
6 ხუროვები . . . . .	1803	345	—	2910	0,5
7. სახლის მხერატები . . . . .	175	30	38	243	0,4
სულ	2474	548	902	3924	0,6

<sup>1</sup> გონიუმები ეკუთვნის ხელოსნო ჭეთასის გუბერნიის (1893). თბილისის გაბერ-ნიში 1896 წლის იუნ 310 საყადო (შლო 063ირ და სხვ გვ 21)

<sup>2</sup> ის ამ წიგნის („ხელოსნობა საქართველოში“) გვ გვ 130—131.

1	2	3	4	5	6
<b>III. პოლიგრაფიული და მხატვრული სელონება</b>					
1. ლითოგრაფები . . . . .	7			7	
2. შროიცების ჩამოსხმელები . . . . .	3			3	
3. მბეჭდულები . . . . .	25	4	5	34	0,4
4. მბეჭდულითოგრაფები . . . . .	1	—	—	1	—
5. გრაფიჩები . . . . .	4	—	—	4	—
6. მოქანდაკები . . . . .	3	—	—	3	—
7. ფოტოგრაფები . . . . .	24	4	4	32	0,3
8. ფოტო-ლითოგრაფები . . . . .	3	—	—	3	
<b>სულ</b>	<b>70</b>	<b>8</b>	<b>9</b>	<b>87</b>	<b>0,2</b>
<b>საერთო ჯამი</b>	<b>13109</b>	<b>5565</b>	<b>9021</b>	<b>27695</b>	<b>11</b>

მათი რაოდენობა ქალაქებსა და სოფლებში გამოიხატება შემდეგი მონაცემებით:

	ოსტატები	ქარგლები	შევირდები	სულ
ქალაქებში . . . . .	5338	3779	4042	13159
სოფლებში . . . . .	7771	1786	4979	14536
<b>საერთოდ . . . . .</b>	<b>13109</b>	<b>5565</b>	<b>9021</b>	<b>27695</b>

### პროცენტული შეფარდება

I

	ოსტატები	ქარგლები	შევირდები	სულ
ქალაქებში . . . . .	40,74	67,90	44,80	47,51
სოფლებში . . . . .	59,28	32,10	35,20	52,49
<b>საერთოდ . . . . .</b>	<b>100,00</b>	<b>100,00</b>	<b>100,00</b>	<b>100,00</b>

II

	ოსტატები	ქარგლები	შევირდები	სულ
ქალაქებში . . . . .	40,56	28,72	30,72	100,00 ა
სოფლებში . . . . .	53,46	12,29	34,25	100,00 ბ
<b>საერთოდ . . . . .</b>	<b>47,33</b>	<b>2010</b>	<b>32,57</b>	<b>100,00 გ</b>

მის მიხედვით ოსტატები შეადგინენ ხელოსნობაში მოსაქმეთა თითქმის ნახევარს. ნახევარზე მეტ ხელოსნურ სახელოსნოში საერთოდ არ არიან ქარგლები. ქარგლობა, ომგორუ ჩანს, წარმოადგენს მხოლოდ შეულებულ სტატიას ოსტატობაში გადასასცლელად: ამას ადასტურებს ქარგლების მცირე პროცენტი ოსტატებსა და შეგირდებთან შედარებით ვინც დღის ჯერ კიდევ ქარგალია. ეს იმიტომ ომზ, იგი ამ დებულებით ხელოსნობაზე მცირების შესახებ არ შეიძლება ჯერ კიდევ დაშვებული იყოს ოსტატად. ან სხვა გარემოებებმა შეუშალეს ხელი გამხდარიყო დამოუკირავდებოდი.

მოსახლეობის საერთო ოცნებში (2 054 636) ხელოსნობაში მოსაქმენი შეადგინენ 1,35% -ს

მათი უმრავლესობა ცხოვრიბს სოფლად (I 4), რასაკვირველია, ქალაქის მოსახლეობაში ხელოსნები შედარებით უფრო მრავალრიცხვონი არიან, ვიდრო სოფლის მოსახლეობაში. პირველთა შორის (296 369) ხელოსნობაში მოსაქმენი შეადგინენ 4,44%. უკანასკნელთა შორის კი (1758267) — მხოლოდ 0,83% -ს

ქარგლების უფრო დიდი ნაწილი ქალაქებშია, შეგირდების უმრავლესობა, პირიქითა, სოფლად ამრიგად. წესი შემფეგა — შეგირდი ამომელიც წარმოშობით სოფლიდანაა, ხელობის შესწავლის შემდეგ მიღის ქალაქში. რაღაც სოფლის ოსტატი უმეტესად წვრილი ხელოსნია და მას თი შეუძლია გამოიყენოს ძვირადლირებული ქარგლის შრომა ამორმაა. ომზ საწარმოთა შედგენილობა ქალაქად და სოფლად ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება (II. a. b). უპირველეს ყოვლისა. უქარგლი და მარტოხელა საწარმოები სოფლად უფრო ფართოდაა წარმოდგენილი

ამრიგად. საქაოთველოში ხელოსნობისათვის საერთო დამზადისათვებელი ნიშანია წერილი სახელოსნები, კერძოდ კი — სოფლად უქარგლო საწარმოები

ცხრილში მოყვანილ ხელოსანთავან კანვიზილოთ ცალ ცალკე მხოლოდ ამდენიმე.

ვ კ ე დ ე ლ ი თავის ქაოგლებთან და შეგირდებთან ერთად მუშაობს თავის სახელოსნოში. რომელსაც ორი განყოფილება აქვს წინა წარმოადგენს საკუთოვან თახსს შეუში დგას ქურა საბერვლით და მის წინ სხვაიანსა თი დიდის 2—3 გოზემლი აქ გამოკედილი საგნები ვლენ ხის მეურ წეობაში ნიადაგ სახმაო იარაღებია ისინი საქმაოდ სადაა, მაკან უყალებით იაფი. ბეჭდელი უეთებს აგრეთვე ნალებს და აწარმოებს მუშა პიორტყვის დაქედვას თავის სახელოსნოს წინ. არიან აგრეთვე სპეციალურად ნალების მცედლები, რომელნიც თითქმის მხოლოდ და მხოლოდ ნალებს აკეთებენ; მაგრამ ამ სპეციალობის ასეთი დაყოფა

აოაა ქვეყნის ყველა კუთხეში მიღებული, მაგრამ იქაც კი, სადაც მჭედლების გვერდით ნალების მჭედლები მუშაობენ. პირველებს არ აუღიათ აელი ნალების გაყეობაზე.

მ ე ს პ ი ლ ე ნ დ ე ე ბ ი ამზადებენ სპილენძის ქვაბებს სამზარეულოსათვის და არაყის გამოსახდელად, აგრეთვე კათხებს, ტაშტებს, თასებს, ტაფებს, თუნგებს, ჩაიდნებს, შანდლებს და სხვა „ზოგიერთი ნაწარმი როგორც მაგალითად, ჯამები, სინები, კათხები, მოპირკეობულია ლამაზი მოხატულობით“<sup>1</sup>. სპილენძს ნაწილობრივ ქვეყნის შიგნით მოიპოვებნ, უფრო მეტად კი შემოაქვთ რუსეთიდან და ევროპიდან ფურცლების სახით.

თ ო ფ-ი ა რ ა ღ ი ს მ ო ხ ე ლ ე დ ვგულისხმობთ ორ სხვადასხვა სახის ხელოსანს. ეოთი კატეგორიის ხელოსნები არიან ცეც ც ხ ლ ს ა ს რ ა ლ ი რ ა რ ა ღ ი ს მოხელენი. რომელნიც თოფებსა და დამბაქებს ამზადებენ, მეორენი — ხ მ ა ლ ხ ა ნ ჯ ლ ი ს მ ო ხ ე ლ ე ნ ი საუკეთესო მეოთხებად და მეხანქლებად მთელ კავასიაში ლუკები თოვლებიან. მეოთხეთა ხელოსნობა ეცემა, მეხანქლეთა ხელოსნობა ჯერ კიდევ ვითარდება მეხანქლებმა „სახელი გაითქვეს განსაკუთრებით თავისი გრავიურებით ფოლადზე და მისი ოქროს და კვრცხლის მოხატულობით და დაშვერებით. ხმლებზე ხშირად გვხდება განსაცვიფრებლი მოზაიკის ნატიფი მოხატულობა, რომელსაც შემდეგნარად აკეთებენ ფოლადში მახვილი საჭრისით ჯერ ამოჭრიან ნახატს, ჩაღრმავებენ იმ ადგილებს, სადაც უნდა ჩაიდოს ოქრო ან ვერცხლი და პატარა კვერით ჩაპედავენ შესაბამის ლითონის მავთულს“<sup>2</sup>.

„ო ქ რ ი მ კ ე დ ლ ე ბ მ ა დ ა ვ ე რ ც ხ ლ მ კ ე დ ლ ე ბ მ ა ჭველთაგანვე მოიხვევეს სახელით თავითო ხელოსნური დახელოვნებით და თუ მათი რიცხვი ახლა მნიშვნელოვნად შემცირებულია, ამის მიზეზია ის, რომ მომხმარებლების მასა კმაყოფილდება ფაბრიკული ნაწარმით“. ისინი აკეთებენ ბეჭდებს, სამაჭურებს, საყურებს, სათითეებს, გულისაბნეებს. „უმთავრესად კი ქამრებს და გასრუბებს ჩიხებისათვის, ხანქლებს, თოფების მოკაზმულობას და სხვა საფულეებს, ჯოხების ბუნიებს, მუნდეტუებს, ჩიბუხის ტარებს, ბალოებს, აბზინდებს, საკინძეებს, ჟინძის-თავებს და სხვა საგნებს ქალების და მამაკაცების ტანსაცმლისათვის. განაკეთებით ლამაზად აკეთებენ სევალიან ნივთებს ნახატებს, ასოებს და კამოსახულებებსაც კი“<sup>3</sup>. სევალიან და მომინანჭრებულ ნივთებს ამზა-

<sup>1</sup> Гулишაчаров, იქვე, გვ. 202.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 199—200 შდრ. Хатисов იქვე, გვ. 326.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 202

9 ფ. გოგიანაშვილი

დებენ შემდეგნაირად: ნივთზე აქთებენ მოხაზულობას ანუ ნასერს. წარმოშობილ ჩაღრმავებას აცსებენ ბორაყის ხსნარში დასველებული ფხვნილით, რომლის შემადგენლობაშია ერთი ნაწილი ვერცხლი, ექვსი ნაწილი სპილენძი, ექვსი ნაწილი ტყველი და 48 ნაწილი გოგირდი. შემდევ ნაკა ათავსებენ ლუმელში გამოსაწვავად<sup>1</sup>. სოფლად ბინადარი ოქრომჭედლები, რომლებიც საფასო მოხელეებს წარმოადგენენ, უფრო ხშირად დაკვეთით მუშაობენ, ქალაქად კი მარაგსაც ქმნიან.

მეთუნე კენი, რომელთა უმრავლესობა ქალაქებში მოსაქმეობს, სადაც სახლები თუნეგითა გადახურული, მხერავებად მუშაობენ.

დაბალებიც უმეტესად ქალაქებში ბინადრობენ, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი კი თვით თბილისშია. თბილისში დაბალები თავმოყრილი არიან ქალაქის ერთ უბანში, სახელობრივ, სადაც ცნობილი ცხელი მრნერალური წყლები ამონის მიწიდან და სადაც აბანოებია განლავებული მრნერალური წყლების ერთი ნაწილი გაყვანილია დაბალთა საერთო სამუშაო შენობაში. ეს არის გრძელი, ძეველი ქვის შენობა, სადაც ტყავის დასალბობად მიწაშია ჩაფლული 400 თიხის ქვაბი ეს შენობა აგებულია მდინარესთან, ისე რომ ტყავის გარეცხვა იქვეა შესაძლებელი. შენიგა ეკუთხნს კერძო პირს, რომლისუნარ დაბალებს იგი იჯირთ აქვთ ალებული მათ ჩამოყალიბებული აქვთ თავისებური არტელი ან ამხანვობა, რომელშიც თითოეული ჩარჩუნებს თავის ინდივიდუალობას და ამასთანავე საუკელობს მისი საქმეების ამხანვური წესით წარმართვის უპირატესობრივ იმ სასლში მუშაობს 50 ლამთურდებული დაბალი და თითოეულს ჰყავს 1 ან 2 მუშა; ყოველი მთხვენი მუშაობს თავისი წარმოების საშუალებებს და პროდუქციის გასაღების პირობების მიხედვით მეტნაკლებ დროს წარმოების პროცესი ყველასათვის ერთნაირია<sup>2</sup>. ეს უკნასკნელი შეძლება ითქვას ქავენის ყველა დაბალზე. ტყავის გამოყვანისას ისრნა ხმარობენ მუხის ქვერქს, კისის, მარილის და თრიმლის ფოთლებს. ამჟამად ტყავის ლებედა ხდება მხოლოდ და მსოლოდ მრნერალური სალებავებით, ალიზარინთა და ანილინით, რას გამოც ადგილობრივი ტყავი ალირ გამოიჩინეა სალებავების იმ სიმყარით და შეცეოლობის ემ სიძლიერით, როგორც ეს წანათ იყო<sup>3</sup>.

ფეხსაცმლის მკერავი, პირიქით, ისევე როგორც საერთოდ ყველა დასახელებული ხელოსანი, რომლებიც მკერავი აო განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, არაუნ როგორც სოფლად, ისე ქალაქად.

<sup>1</sup> Хатисов, იქა. გვ. 33:

<sup>2</sup> Гулишамбаров, იქა. გვ. 95. შედრ. აგრეთვე Хатисов, იქა.

<sup>3</sup> 352 353

<sup>4</sup> Гулишамбаров, იქა. გვ. 97

ცხრლში შოთენების მ ე ქ უ დ ე ე ბ ა დ უნდა ვალელასმოთ სამი  
სხდომასხვა ხელოსნი, სახელმომზ. 1. ფიანტების, 2 ნაბილის ქალების და  
3. შალისა და ტილოს ქსოველის წარმოების (ს. მ. ცხრი) ქადების მ-ე-  
რავები. პირველი ორი აბავე დროს ჭრნები და ნაცის მოყლუბებია,  
თუმცა მათთან ფაფახების და ნაბილის ქადების წარმოების ამ ხე-  
ლოსნობის მესამე სახის წარმომადგენლები, პირიქოთ, მხოლოდ ქადების  
კრავენ და უმეტესად ქალაქებში ბრნაზობენ

მოსახლეობაში, რომელსაც უყვარს სამოსის ოქრომკედით და ვერცხლ-მკედით ნაქარგი და მოქარგული არშით მოქაზმეა. წინათ ხელოსნობას ეს სახეობა აქ უფრო მეტად იყო განვითარებული, ამეამად კი ხელოსნობის მსგავსი ნაკეთობების შემოტანის გამო იგი დაეცა. 1857 წელს, თბილისში გამოფენაზე მასობრივად იყო გამოტანილი სუკეთესო ხარისხის ასეთი ადგილობრივი ნაკეთობა<sup>1</sup>

დასასრულ მოვახშენიებთ აგრეთვე ხაბაზებს, რომელნიც ყველა ქალაქსა და დასახლებულ ადგილებში არიან. ქალაქის ხ ა ბ ა ზ ე ბ ი მისდევენ, როგორც წესი, მხოლოდ პურის ცხობას. დასახლებულ ადგილებში კი, პირიქით, ისინი ხშირად წვრილ ვაჭრებს წარმოადგენენ, რომელნიც პურის ცხობასთან ერთად ვაჭრობასაც მისდევენ. არის ორგვარი ხაბაზი. ერთი კატეგორია პურს თორნეში აცხობს, მეორე კატეგორია — ჩვეულებრივ საცხობ ღუმელებში

ზოგიერთი ხელოსნი, რომელიც რიგ სხვა ხელოსნებთან ერთად არ არის სპეციალურად მოხსენიებული, წარმოადგენს მთლიანად ან უპირატესად ქალაქის ხელოსანს ასეთებია აღმასის მწახავებლები, იუველირები, თითბრის ჩამომსხმელნი, ეტლის მკეთებლები, ხელსწყობის მკეთებლები, ოპტიკუსები, ფორტეპიანოს მკეთებლები, მეფიტულები, მკინძავები, მეკოლოფები და მეგოდრეები, მევეგენი, ჯაგრისის მკეთებელი, პარეტის მკეთებლები, საცობის მკრელები, მოდისტი და მექულე ქალები, მეცემენტები და პოლიგრაფიული და მხატვრობის დარგში ჩამოთვლილი ხელოსნები

\* \* \*

ამ თავის დასასრულს იქნებ მართებული იყოს რამდენიმე სიტყვით შევეხოთ საქართველოში ეროვნული ხელოსნობის პროდუქციის გა-სა-ც-ლ-ე-ბ-ი-ს ფორმები

საქონელს, ხელოსნობისა და საოჭახო მეურნეობის ნაწარმს ყიდიან 1 ქალაქებსა და დასახლებულ ადგილებში ვაჭრები და საფასო მოხელეები თავარანთ დეკნებსა და სახელოსნოებში, რომელთა გვერდით ვლეხადასაც გამოქაეს გასაყიდად თავისი ქარბი პროდუქცია ამის გარდა გლეხაპა მაჟყიდის ხოლმე თავისი ნაწარმს მათთან მოსულ ვაჭრებს: 2 სოფლად ხელხე ვაჭრობით, რასაც მხოლოდ მამაკაცები მისდევენ. დაბოლოს 3 ყოველკორეულ და წლიურ ბაზრობებშე

გასალების პირების ფორმა არაფერს განსაკუთრებულს არ წარმოადგენს გაზრდა იმასა, რომ საქართველოში სოფლის მოსახლეობისათვის რეინიგზის სა იგურები გარკვეული ზომით საბაზრო ადგილებიცა;

<sup>1</sup> ეკიურია ამ მართებული იყოს რამდენიმე სიტყვით შევეხოთ საქართველოში ეროვნული ხელოსნობის პროდუქციის გა-სა-ც-ლ-ე-ბ-ი-ს ფორმები

სადგურების ბაქნები არაა ხალხისათვის ჩაკეტილი და სამგზავრო მატარებლების გავლის საათებში აქ მოღიან გლეხები მახლობელი სოფ-ლებიდან, უმთავრესად კი ქალები და გოგონები, რომლებიც მგზავრებს სთავაზობენ თავიანთი მეურნეობის პროდუქტის ბილს, ფრინველს, სხვა-დასხვა ქსოვილს, ყაისნალით ნაქსოვს, ნაქარგს და ჩხირებით ნაქსოვს ვაკრობა გრძელფეხი ყოველთვის მხოლოდ რამდენიმე წუთს.

ხელზე ვაკრობა ასე ადგილი აქვს უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოში აქ ვსვდებით კარდაკარ მოსიარულე მოვაჭრებს, ხელისნებსა და არაიშვიათად გლეხებაც, რომელნიც თავიანთი ხელოსნობის დაუთავებს ასალუპებრ გასაყიდად განკუთვნილ საგნებს ხელზე მოვაჭრენი დაატარებენ ცხენებით, ქორებით ან საშიოდებით დასავლეთ საქართველოში, პირაქით, ხელზე ვაჭრობა მისდევენ, და ამასთანავე, შედარებით იშვიათად, მხოლოდ მეწვრილმანენი, უმთავრესად ებრაელები, და არა ხელისნები და გლეხები პროდუქტების გასალების ფრინძების თვალსაზრისით ეს არის პირველი განსხვავება ქვეყნის ორივე ნაწილს შორის. მეორე განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ უ თ ვ ე ლ კ ვ ი-რ ე ლ ი დ ა წ წ ლ ი უ რ ი ბ ა ჳ რ ი ბ ე ბ ი განვითარდა მხოლოდ დასავლეთ საქართველოში, აღმოსავლეთ საქართველოში კი სრულდებოთ არ გვხვდება. ყოველყოირეული ბაზრობები აღმოსავლეთ საქართველოში, იმდენადაც კი ით, არ ეწყობა არც სოფლად და არც ქალაქად, გარდა თბილისისა, საღაც ყოველ კირას იმართება ღია ბაზრობა სხვა სახისა წლიური ბაზრობები შრავალ საეკლესიო დღესასწაულზე, როდესაც ბევრი ხალი იყრის ხოლმე თავს, ვაქრები და ხელოსნები იყენებენ როგორც გასალების შესაძლებლობას. ეს ბაზრობები, ჯრ-ერთი, ძალიან ხანმოკლეა — გრძელფეხი რამდენიმე საათს, დილიდნ საღამოძლე, და მეორე — გლეხები და გლეხის ქალები გამოდიან არა თავიანთი მეურნეობის პროდუქტების გაყიდველებად, თუ მხედველობაში არ მიკიღებთ პირუტკვის და ფრინველის გაყიდვას, არამედ მხოლოდ ვაჭრებისა და ხელოსნების მიერ შეთავაზებული საქონლის მყიდველებად. ეს საეკლესიო დღესასწაულები არ შეიძლება ჩაითვალოს საკუთრივ წლიურ ბაზრობად, რადგან მოსახლეობის ამ დღესასწაულების მთავარ დანიშნულება წარმოადგენს, უპირეველს ყოვლისა, სარწმუნოებრივი წესების შესრულება და მეგობრული დროსტარება, საქონლის გასალებას კი ამ დღეებში მეტად დაკვემდებარებული ადგილი უკავია.

წლიური ბაზრობები დასავლეთ საქართველოში ემსგავსება ამ ბაზრობებს იმით, რომ ისინიც ემთხვევა განსაზღვრულ საეკლესიო დღესასწაულს და იმართება იქ, საღაც არის მესაბამისი შმინდანების ეკლესიები და მონასტრები მთელი დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ადგილს, რამდენადაც ეს ჩვენთვის ცნობილია, იმართება სულ 17 წლიური ბაზრობა,

რამელთაგან 6 ორ-ორი კვირით, 8 თითო ფეირით და 3 თითო დღით ამ ბაზრებსე არის ყველაფური, რაც კი აქეს სოფლის მოსახლეობას ჭარბი პროცენტების სახით, და ვაჭრებისა და საფასო მოხელეების მიერ მიტანილი ფაბრიკების საქონელი და ხელოსნობის ნაწარმი ვაჭრები მოდიან როგორც სოფლებიდან (დასახლებული პუნქტებიდან), ისე ქალაქებიდან და შორეული რაიონებიდან მაგალითად, გურიაში წლიურ ბაზრობაზე შეხვდებით ვაჭრებს, რომელთაც საქონელი თბილისიდან აქცით მატანილი (ზაახლოებთა 300 ქმ) ხელოსნები უზრი ახლო რაიონებისაც მოდიან წლიურ ბაზრებზე, შორეული ქალაქებიდან კი ძალიან იშვიათად. უდიდეს უმრავლესობა მოვალი იმავე რაიონიდან, სადაც ბაზრობა ბაზრებზე მიმართება იმ ადგილებში, სადაც უკვე აჩსებობს სტაციონარული ვაჭრობა ვაჭრები, ხელოსნები ბაზრებზე ქირაობენ პატ-რა მოწოდელ ქოხებს, სადაც აწყობენ თავიათ საქონელსა და ნაკიონბას და ათევენ ლამეს ამ ქოაქს ბაზრობის დაწყებამდე ავებენ მიზათმებულებელი გლეხები და გლეხის ქალები, პირიქით, ქოხებს არ ქირაობს ისინი დგანან ღია ცის ქვეშ, უკველანი თავიათ ნახელავთან გლეხი ცეკველები და ხშირად გამყიდველებიც ბაზრობაზე მოდიან მხოლოდ ერთი დღით, და თუ ბაზრობა ერთ ან ირ კვირას გრძელობა, ეს იმიტომ, რომ ხალხის ნაკადი ყოველდღე ისევ ახლდება

ყოველ კიბეულ ბაზრობათა რიცხვი უფრო მეტია. ეირო კორელ წლიურისა. დასავლეთ საქართველოში თითქმის ყოველ ცოტა თუ ბევრად დიდ დასახლებულ ადგილს, ისუებ როგორც ყოველ ქალაქში, იმართება ყოველ კიბეული ბაზრობა. იქ, სადაც ყოველ კიბეული იმართება, არიან ადგილობრივი ვაჭრებიც და ხელოსნებული წლიური ბაზრებისაგან განსხვავებით, ყოველ კიბეულ ბაზრებში არ მოდიან ხელოსნები და ვაჭრები სხვა ადგილებიდან ბაზრობის დღეებია ჩემთვევები. როდესაც იგი ოთხშაბათს ან ხუთშაბათს იმართება ბაზრობა ტაუდება ღია ძოვდანც და გრძელვება დაახლოებით დილის 9 საათიდან შუალედმდე

გასალების ფორმების თვალსაზრისით აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის აქ წარმოდგენილი განსხვავება ნამდვილად არ არის ინტერესს მოყენებული, თუ ამასთანავე გავითვლისწინებთ ქვეყნის სიმკარეს. თუ ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში, ვარუ ქალაქებისა და დასახლებული ადგილებისა, რომლებიც ვაჭრების. ხელოსნების და სოფლის მოსახლეობისათვის გასალების ადგილს წარმოაღენენ. ხელზე ვაჭრობა ხშირი მოვლენაა, საქართველოს დასავლეთი ნაწილისათვის უამახასიათებელი ყოველ კიბეული და წლიური ბაზრები. ამ სხვადასხვაობის გასარევებად ჩენ სამწერაოდ გვალია საკირო მასალები არც ყოველ კვირეულ და წლიურ ბაზრობათა შესახებ მოიპოვება რაიმე დღემდე და-

აეჭვილ ქართულ წყაროები. მაგრამ, როგორც ჩანს, მრავალი ამ ბაზ-ზებათაგანი მაღლად XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა მოხუცები ცვე-ბიან, რომ ზოგიერთი წლიური ბაზრობა საეკლესიო დღესასწაულიდან ვანეითარდა და რომ XIX საუკუნის პირველ მეოთხედში ზოგიერთი თ-ვადაზნაური და ეპისკოპოსი იწვევდა ქალაქებიდან ვაჭრებს საეკლესიო დღესასწაულებზე განსასლებული გადასახდელის გამორთმევის მისით<sup>1</sup>. ზოგიერთი ყოველყორეული ბაზრების შესახებ ამტკიცებენ, რომ ისი-იიც მოოლად XIX საუკუნეში წარმოიშენენ, მაგრამ სოფლის მოსახლეო-ბის ცორმალური შეთანხმების შეფერად. როგორც უნდა იყოს, ფაქ-ტუ ას, რომ უკანასკნელ საუკუნეში ბაზრების რიცხვება იმარტა ჩვენს ღოოშიც არსდება ახალი ბაზუები. ოის თაოსნობასც იჩენენ ზოგჯერ ვაჭრები, ზოგჯერ სოცლის მოსახლეობა და ამის ნებართვას მმართველი-საგან ლებელაბენ<sup>2</sup> მაგამა ასევე ეკვს გარეშეა, რომ ყოველყორეული და წლიური ბაზრობები დასაჯლეთ საქართველოში. სულ მცირე, სამი საუკუნის წინ წარმოიშეა. მათ ისახინებენ, მართალია ვაკერით. შარდენი (მე-17 ს)<sup>3</sup> და გოლულუნძერტო (მე-18 ს)<sup>4</sup>

ყოველყორეული და წლიური ბაზრუები თავანთი განვითარების დასაწყისში. სანამ ისანი თავასუკალი უკუნეო ვაჭრათა და ხელოსანთა ელემენტებისაგან, ყველა იძ სალაში. საჯაც ასეთი ბაზრობები არსებობ-და, რასაკირველია. ხელს უწყობანენ მხოლოდ სავადასხევ სახის ჭარბი პროდუქციის გაწონასწორებას ეს გაწონასწორება აუცილებელი იყო კარჩაელილი საოჯახო მეურნეობის პერიოდში სხვასახევ რიონის განსხ-ვავებული ბუნებრივი პარობების და მით განპირობებული გარკვეული სახის საგნების წარმოების უპირატესობის ვაზო საფიქრებელია, რომ საქართველოშიც ყოველყვარეული და წლიური ბაზრობების წარმოშობა ჭარბი პროდუქციის გაწონასწორების მოთხოვნილებით იყო ნაკარნახე-ვი ის გარემოება, რომ ეს ბაზრობები მხოლოდ დასაცლეთ საქართველო-ში წარმოიშეა, აღმოსავლეთ საქართველოში კი გლეხები დღესაც თავიან-თი ოქასური მრეწველობის პროდუქციას არაიშვიათად ხელზე ვაჭრო-ბით ასალებენ, განაირობებულია გლეხთა დაების ტიპით აღმოსაცლეთ საქართველოში სოფლები ახლოს არიან ერთმანეთთან, სახლებიც გვერ-დავგვერდა დადგმული. გლეხების ყანები და ვენახები დაშორებულია საცხოვრებელი სახლებიდან სელჩე მოვაჭრის გამოჩენა ამნაირად გა-

<sup>1</sup> შდრ. აგრეთვე „სოფლის გაზეთი“, 1874, № 11 და 12.

<sup>2</sup> შდრ. „იურია“, 1899, № 144, 1900, № 126.

<sup>3</sup> იქ ვე, I, ვ. 333—334, 516.

<sup>4</sup> იქ ვე, ვ. 173—174. შდრ. აგრეთვე G a m b a, იქვე, I, ვ. 196.

შენებულ სოფელში მაშინევე ხდება ცნობილი სოფლის ყველა მცხოვრებ--  
სათვის დასაცლეთ საქართველოში, პიონერთ, ყოველ გლეხს აქვს ცალკე  
კარმიდამო. ყოველ ოჯახს თავისი საცხოვრებელი სახლის გარშემო აქვს  
ფართო, შემოლობილი ეზო, სადაც გაშენებულია ვენახი. ხეხილი და მოა-  
ყავთ მწვანილებულობა და ხშირად მარცვლეულობაც, თუმცა მათი ნამ-  
დვილი ყანები, ჩეველებრივ, სოფლის გარეთ მდებარეობს. გლეხთა კომ-  
ლები აქ საქართველოში არიან და ერთმანეთისაგან ხშირად ძალას  
დაშორებული. მოსახლეობის ცხოვრების ასეთი წესის გამო გასაცვლელ  
ნაკეთობათა გასაღება სახლებში დატარებით ძნელია და დიდ დროს მოით-  
ხოვს

### ა მ ქ რ მ ბ ა

საქართველოში ამქობის ჩამოყალიბების დროის შესახებ ზუსტად  
არაფერია ცნობილი, მტკიცედ არის დადგნილი მხოლოდ ის, რომ აღმო-  
სავლეთ საქართველოში, სახელობრ ქალაქ თბილისში, მე-17 საუკუნე-  
ში უკე არსებობდა ამქრული წყობილება. ასევე ბენელით არის ჩენოვის  
იოცული ამქრობის წარმოშობის საკითხი მაგრამ მაინც ჩანს, რომ ამ-  
ქარი წარმოშვა არა ქვეყნის სამეცნიერო ცხოვრების დამოუკიდებელი  
განვითარების შედეგად, არმედ, უპირველეს ყოვლისა, უცხო ხალხი,  
სახელფობრ, სპარსელების გავლენით<sup>1</sup> ანაზე მიგვითოთებს ამქრის ქარ-  
თული სახელწოდება ქართული სიტყვა ა მ ქ ა რ ი, ა მ ქ რ მ ბ ა  
საარსული პატარიდნა წარმოშობილი<sup>2</sup>.

ამქრობის საქართველოში დღემდე არსებობს XIX საუკუნის 60-იან  
წლებმდე ამქრობა კანონით არ იყო რეგლამენტირებული მისი წესდება  
და შინა მართვა-გამგეობა ეყრდნობოდა საუკუნების მანძილზე ჩამოყა-  
ლიბებულ ჩეველებით სამართლს მაგრამ 60-იან წლებში მდგომარეო-  
ბა შეიცვალა და თბილისის ამქრების შესახებ მმართველობამ სპეციალურ<sup>3</sup>  
დადგენილება გამოიკვეყნა დღეს საქართველოში ამქრებზე ვრცელდება  
რუსთავის საერთო სიმპუზიონი კანონმდებლობა ამქრული წყობილების  
საკანონმდებლო რეგულირების შედეგად ზოგიერთმა ძველმა ადა-  
თმა და ჩევევამ დაკარგა ძალა და გაქრა, მაგრამ მრავალი მათგანი ჭერ კი-  
დევ დარჩა და ამქრების მიერ უწინდებურად სრულდება კიდეც. ქვევით  
გვინდა წარმოვადგინოთ საქართველოში ძველი ჩეველებითი ამქრული

<sup>1</sup> ვერ Нахтгаузен, ივევ, გ 1, გვ 112

<sup>2</sup> Л. Загурский (Поездка в Ахалцихский уезд в 1872 г., гв. 24 Записки Кавк. отдела Импер. Русск. географ. общ-ва, кн VIII) ფიქრობს,  
რომ ქალაქ ახალციხეში ამქრები თურქებმა ჩამოყალიბეს

წყობალება და შინა მართვა-გამგეობა<sup>1</sup> და შემდეგ განვიხილავთ მის შე-  
საბამის კანონმდებლობას

ა მ ქ ა ჩ ი არის ხელოსანთა კაციირი. რომლის მთავარი მიზნები ეკო-  
ნომიური და რელიგიური ხასიათისაა ვაჭრობის და ხელოსნობის ყოველი  
სპეციალობის პირი, ჩვეულებრივ, აყალიბებდნენ ერთ საერთო ამქარს,  
ზოგჯერ კი რამდენიმე მტკირთავებს, მეთულებჩეებს და მეტრლებსაც  
კი ჰქონდათ თავიანთა საკუთარი ამქრები ამქრებში არ შედიოდა მხო-  
ლიდან თავადაზნურობა, სამღვდელოება და წარჩინებული მღიდარი ვაჭ-  
რები ამქრებში ზოგჯერ შეღიოულნენ წარჩინებული მოქალაქენი, რომელ-  
ნიც შესალის უფლებას ფულადი შენატანით მოიპოვებდნენ, მიუხდა-  
ვად იმას, რამ უკრიბასა და ხელოსნობას არ მისდევდნენ ამქრებს  
უკუცნას შევიტობი, ქარგლები, ვაჭრობაში დამხმარენი და ოსტატე-  
ბის ოჯახის წევრები.

უფრო ვიწრო გავებით ამქარი აერთიანებდა მხოლოდ იმ ხელისნებს  
ან ვაჭრებს, რომელთაც ჰქონდათ თავიანთ სახელშე სახელოსნო ან სა-  
ვაჭრო დევნანი მხოლოდ დამთუკიდებული პარები იყვნენ ამქრის თანა-  
წორულებრანი წევრები, და მხოლოდ მათ ჰქონდათ უფლება მონაწი-  
ლეობა მიეღოთ ამქრის საქმეების წარმართვაში

ხელისანთა ამქრები—როგორც პროფესიული გაერთიანებები,—დიდ  
უძრავებას აქცევდნენ მათი წევრების დასრულებულ ტექნიკურ მომზა-  
დებას და არავის არ მიიღებდნენ გაერთიანებაში თანაწირუფლებიან წევ-  
რად, თუ იგი არ დაუფლებოდა საჭირო ცოდნას როგორც შეგირდი და  
ქარგალი

შეგირდად ასაყვანი ბავშვების ასაკი ხელოსნობის სხვადასხვა დარგ-  
ში სხვაუსხვა იყო ის მერყეობდა შესასწავლი ხელობის სიმნილის მი-  
ხედით 9-დან 17 წლამდე სწავლის დრო საქმაოდ ხანგრძლივი იყო,  
გრძელებოდა 3-დან 10 წლამდე ჩვეულებითი სამართლით შეგირდთა  
ჩიტვი. რომელიც შეიძლებოდა ოსტატს პულოდა, შეზღუდული არ  
იყო

შეგირდის აყვანისას ოსტატსა და შეგირდის მშობლებსა ან მეურვეს  
შორის იდებოდა ხელშეკრულება სწავლის დროისა და სხვა პირობების  
შესახებ. ხელშეკრულება, რომლის წერილობითი ფორმა სავალდებულო  
არ იყო, იდებოდა უსტაბაშის და ამქრის უხუცესების თანდაწირებით.  
ეს ხდებოდა ან შეგირდის აყვანისას, ან, უფრო ხშირად, განსაზღვრული

<sup>1</sup> ჩეენი გამოკელევის ეს ნაწილი ემყარება წინათ უკვე სენებულ ორ ნაწარმოებს  
Ю. А х в е р д о в , Тифлисские амкары (напис. в 1857, году), Тифлис, 1883.  
С Е г и а з а р о в , Исследование по истории учреждений в Закавказье, часть  
2; Городское амкарство Организация и внутреннее управление Закавказского  
амкарства. Казань, 1891.

უროის შემდევ. ოოდესაც ოსტატი დაჩრწმუნდებოდა ბავშეის ნიკეში საცლელი დრო გრძელდებოდა 6 კვირიდან 6 თვემდე.

შეგირდს ოსტატის სახლში შესვლის შემდეგ უყურებდნენ ოოგორუ აჯახის წევრს. ოსტატის ბრძანებით მას უნდა შეესრულებინა სხვადასხვა საშინაო სამუშაოები და უფროსების მიმართ გამოეჩინა სიტყვაშეუბრუნებელი მორჩილება. ოსტატის ძალაუფლება შეგირდის მიმართ ძალიან დადი იყო და სასხელია, ოომელიც დაედებოდა ურჩობის. ცული ქცევის, საზარევისათვის და სხვ, ძალიან მკაცრი ოსტატს აპყავდა შეგირდი, ჩვეულებრივ, სრულ კამაყოფაზე და განსაზღვრული დროის შემდევ უხდიდა მას გასამრჩევლოს.

სასწავლიან დროის გასვლის შემდევ შეგირდო ლებულობდა „ქაოგლის“ წოდებას, თუ მას ამქრის მოთხოვნილებათა შესაბამის ზეკობრივი თვისუბები კერძა შევირდის გადასვლა ქარგლების რეცეპში ხდებოდა სახელისას მფლობელო ისტატის შეფასებისა და უსტაბაშის და უხუცესების დაწოებით მისი შეშაობის შემოწმების საფუძველზე. ამასთანავე, შეგირდს უნდა გადაეხადა განსაზღვრული თანხა ამქრის სალაროში.

ქარგლი, ჩვეულებრივ, თავის ისტატან რჩებოდა მის სასელოსნოში იყი ასრულებდა ხელქვეითის როლს, რომელიც შეცდლება შევადაროთ უფროსი შეგირდის მდგრამაოებას იგი განსაზღვრულდა კუანსენელისა-გან მხოლოდ თავისი უფრო დიდი გამოცდილებით ხელოსნობაში და უფრო მაღალი გასაშაფლოთი.

ქარგლის, გარდა შეია, ოომ პარადა დამოკიდებული იყო, აგოთვე მეზღედული კერძა ეკანამარტი თავისუფლება მას არ კერძა უფლება უშეულოდ დაემყარებინა კაშშირი მყიდველებთან და მიეღო მათგან დაკვეთა.

თუ ოსტატი დაჩრწმუნდობოდა, ოომ ქარგლი საქარისალა მოშაადე-აული იმისათვის, რომ დამოუკიდებლად ეწეოდეს ხელოსნობას, იგი თვითონ იშეამდგომლებდლ ქარგლის ოსტატად დალოცვის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ოსტატი ეკვისტური მოსაზრებებით ამას არ აკეთებდა, მეორე ისტატს შეეძლო გამოსულყო ქარგლის დამცველად და კორპორაცია, სახელისნოს მფლობელი ოსტატის ნება-სურვილის გარეშე. დალოცვდა ქარგალს ოსტატად თუ სახელისნოს მფლობელი ოსტატის კო-თილისინდისიერება ეკვეს ბადებდა, მაშინ მათი შეელს აძლევდნენ საცდელ სამუშაოს, რომელიც მას, თუ სამუშაოს ხასიათი ამის საშუალებას იძლეოდა, ყველა ოსტატის ან უხუცესების, უსტაბაშის და კორპორაციის მიერნუობით აღჭურვილი და ამ მიზნისათვის უფლებამოსილი ოსტატების თანდასწრებით უნდა შეესრულებინა. მათი განასაზღვრული კორპორაციაში მიღების საკითხს ყოველთვის წყვეტა უკინასნელი წნიტანცია—ოსტატთა საერთო კრება.

ძალის გადა-  
ისა და მართვის მიურ დადგენია წ შესასელელს ანუ დასალოცას. უპირ-  
ველეს ყავლისა, მას უნდა მურთოთ თავისი მასწავლებელი ისტატისა-  
თვის საჩუქარი, რამელაც. ჩვეულებრივ, წაომოადგენდა მაულს ან რო-  
მელიმე სხვა ქსავილა სერთუესათვეს ამ საჩუქრის გარდა მაძიებელს  
ამჯ იმპას სალაროში უნდა გადაეხადა განსასლეოლი თანხა. შემდეგ თან-  
ხა უსტაბაშის, უხუცესებისა და კორპორაციის სასამართლოს აღმასრუ-  
ლებლის სასაუკებლოდ ამ ხარჯს ემატებოდა კილევ ერთ ხარჯი, რო-  
მელისა ყალბილებული გაილებდა ამანაგვაზ გამაპრენდლებრასვის  
გრძუა ამისა, დუქნის გახსნასას სოვერით ამქოში მას უნდა შეეტანა გან-  
საკრთხებული თანხა კორპორაციის სალაორში

ყველა ეს გადასახდელი შეადგნდა ძნ შენელუან თანხას. ომელიც  
ხელიკურე მართვისათვეს სამიმო იყო მაკაბ ამქობაში ახტებული  
ადამიას მიაქცეოთ. ქნენგაშიც ეს მოეთხოვებულა ეფრო მცირე შესტანი.  
ინარი კი, ომელებაც მექანიზმა ჰყავდათ მშობლები და სხვა, სრულიად  
თავისუფლებაზენ გადასახდელებისგან.

დალიცის ცენტრონა, რამელაც, ოკუმოც უთქვა. კორპორაციის  
უკულა იურიულა სახურავი კუტებზე ხელით, სარწმუნებრივ ხსიათს ატა-  
რებდა და ვარაკუა ეს ული სახეიმ ვითორებით გამოირჩოდა.

ორატის წარუბას მიღების შემდეგ ქარგალი ხდებოდა სრულუფლე-  
ბანა, წევ ი კურაზორაცია იმედებიც მას განააზღვრულ უფლება-  
მიაღებან კექნდა. მა ესულება პქანდა მოწყიუ სკუთარი სახელისნო  
და განკურშა ჩავარდნა. შემთხვევაში მოეთხოვა კორპორაციისგან  
დაბარება მას შეეძლო აგრძელებულყო ერთდროულად სხვადასხვა  
კორპორაციაში. მაგრამ ხელიბას შეცვლა ან აელისნობის ამდენიმე  
დარგში საქმიანობა აქ დალული იყო.

გარდა ამისა, ასტური ვალიცებული იყო დამოიჩინილებოდა კორპორა-  
ციის ღისცაპლინას ამქაბში მაციატრი ღისციპლრნა იყო შემოლებული. უსტ-  
აბაშის მიმართ კურობასათვეს ისტატის ალებდნენ ფულად ჭარიმისა ან სქრდ-  
ნენ კურაზორაციან და იუბათ გარიცხვით იყო პასუხისმგებელი იყო  
რეკორც პარადი, ისე თავისი შევიღებისა და ქარგლების ყოფაქცევისა-  
თვეს, განკუეთებით, როდესაც ისინა ზარნ აუქნებდნენ დამკვეთთა ინ-  
ტერენებს და შეცერაციულულნენ პროფესიულ ლირსებას გარდა ამისა,  
ოპტატებს პქონდათ აგრძელებულ სხვა მოვალეობებიც. რომლებიც რელიგიურ  
ხასახას ატარებდნენ. ეს იყო უქმე ღლების დაცვა, როცა ისტატის  
უფლება არ პქანდა ემუშავა — „უქმე გაეტეხა“, კორპორაციის რელი-  
გურ დაკარგულებში მონაშილეობა, გადასახდელების შეტანა საქველ-

მოქმედო და ოელიგიური მიზნებისათვის, დახმაოების გაწევა კორპორაციის იმ წევრებისათვის, ომელნიკი ამას საჭიროებლნენ და ა. შ ასევე დადგენალი იყო მისი ვალდებულებანი თავისი ამხანაგების მიმართ. მას აკრძალული ჰქონდა მიეყნებინა ამხანაგისათვის ნიერიერი ზარალი, მაგ მისი შეგირდის ან ქაოგლის გადაბირებით

ოფიციალურ ითქვა, ამქარს ეკუთვნოდნენ აგრძელებული რსტატების ცოლები და შეიძლება ისინი საოგებლობლნენ კორპორაციის მფარველობით და კარცელო პრივატული პრივატული გენერაციებთ.

ყველ რსტატს შეეძლო თავის სიცოცხლეშივე წარედგანა თავისი ვაჟი რსტატის წოდების მისაღებად მას გამოცილებენ ზუსტად ისე, რო გურუ სხვა მაძიებლებს ერთადერთი „პრივატულია“, რომელიც ენიჭებიდა მას როგორუ რსტატის ვაჟს, იყო ის, რომ სხვა მაძიებელთა შორის პირველი წარსდგებოდა მღვდლისა და უსტაბაშის წინაშე და დებულობდა „პირველ ექრანთხევას“.

განაცადულობული მფარველობით და ყურადღებით საოგებლობლნენ ამქარს რსტატების ოპტიმიზებები მათ კორპორაცია სასწავლებლად მიაპარებდა ყველაზე გამოცდალ და დაზელოვნებულ რსტატები. მათვის განახლებული იყო სწავლის უფორი მოქლე ვადა და რსტატების რიგებში უფრო ადრე დაიშეცვლილნ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესანახი ჰყავდათ მრავალობის ურთისესობის რჩხი

არც რსტატების ქალაშვილების ინტერესებს ივიწყებდა ამქაოი უღა- რიბეს ქალაშვილებს გათხოვებისას კორპორაცია ატანდა მზითებეს.

საერთოდ თეოთუამარებისა და ქვემოქმედების იღეა ამქარში ძალაში ფეხმაყიდებული იყო მისი ქველმოქმედება ვრცელდებოდა ზოგჯერ ქალაქის უღარიბებს კლასებზეც ურთიერთდინამიურების იღეა წარმოადგენ- და ამქარის ერთ-ერთ შემაკავშირებელ ელემენტს.

მაგრამ ამქარის წევრების მთავარ შემაკავშირებელ ელემენტებად მიჩნეულ უნდა იქნეს მეურნეობრივი და ოელიგიური მიზნები

სამეცნიერო ინსტიტუტები, რომელნიც თანამდებობისა და ძმობის საფუძვლზე იყენენ აგებული, არ სცნობლნენ თავისუფალ კონკრეტულის. თავიანთი წევრების მეურნეობრივი თანამდებობის განხორციელებას ისი ნი ცდილობლნენ წევრთა დამოუკიდებლობის შეზღუდვით რსტატს აკრძალული პქანთა ნებლულს ცალკე, უსტაბაშის და უხელესების დაუკითხავად შეძენა. ნებლეულს, ჩვეულებრივ, მთელი ამქარები ერთად ყიდელობდნენ. მას ახარისხებდნენ, ყოველ ხარისხს ყოფდნენ წევრთა რაცხვის მიხედვით და შემდეგ ინაწილებდლნენ წილისყრით სანამ ამქარის წარმომადგენლი არ დაადგენდა ნებლულის ფასებს, ამქარის არც ერთ წევრს არ ჰქონდა უფლება რამე ურთიერთობა დაემყარებინა გამყიდველებთან ზოგჯერ რსტატს ნება ჰქონდა დართული მასალა ცალკე, თავის-

აკის ეყადა. მაკამ მხოლოდ იმ ფასად, რომელიც ამქრების მიერ იყო დადგენილი.

მეურნეობრივ თანასწორობას განაპირობებდა ზოგიერთ შემთხვევაში ქარგლების მტკიცე გასამრჩევლოს დაღვენა მაგალითად, ქ ახალიხეში დაბალების კურპორაციში ქარგალი ფულით ან ნატურით ლებულობდა ოსტატის „წმინდა მოგების“ 5%-ს.

თუმცა ნირალური სამუშაო დღის დაღვენა წაომოების მოწესრიგების მნიშვნელოვანი საშუალება, მაგრამ ამქრები ეს დადგენილი არ იყო ძუშაბა მხოლოდ უქმე დღეებში იყო აქტიულული. სამუშაო დღეებში კი სარულებით არ იყო განსაზღვრული. სამუშაო დღე, ჩეკულებრივ, იწყებოდა მზის ამოსვლისას და მთავრდებოდა მზის ჩასვლისას

ამქრის ჩეკულებითი სამართლი არ განსაზღვრავდა წევრთა პროფესიულ საქმიანობას და წარმოების პროცესის წერილმანებს, ის მოითხოვდა მხოლოდ პრადუქციის კარგ ხარისხს ცუდი და გაფულებული პროდუქციის მიყიდვასთვის ოსტატის მიმართ საჩიტის შემთხვევაში იგი პასუხს ავებდა ამქრის სასამართლოს წინაშე.

რაც შეეხება გასაღებას, არა კრიბილი, ორმ ხელოსანთა კორპორაციებს მოლაპარაკება ეწარმოებინოთ ფასების შესახებ ფაქტია მხოლოდ ის, რამ ვაჭრების ამქრები ხშირად ხდებოდა ფასების დაღვენა, რამაც თპალებში 50-იან წლებში ქალაქის მმართველობასა და ამქრებს შორის შეხლა-შემოხლე გამოიწვია.

როგორც ითქვა, ამქრის წევრთა მეორე მთავარი შემავავშირებელი იყო კულტი ქელთავანი, ტაბადუისის მიხედვით, ყოველ ამქრობას მფარველად ჰყავდა რომელიმე წმინდნი, რომელიც სათანადო კორპორაციის პატრიონად ითვლებოდა. ამ პატრიონის პატივსაცემად ამქრები ყოველ წლიურად აწყობდნენ დღესასწაულებს. იგი დაკავშირებული იყო ღოთის-მსახურებასა და წირვა-ლოკაციასთან გარდაცელილი ამხნანავებისა და გამოჩენილი ოსტატების მოსახურებლად. ამ დღესასწაულებზე დასწრება ყოველი წევრისათვის ახლაც საკალიბდულოა დღესასწაულზე ღოთის-მსახურებასთან ერთად, მსხვერპლსაც ციირავენ მთელი ამ ცერემონიის შემდეგ იმართება საერთო საღილი — წეველება.

გარეურთოერთობაში ამქრები ექვემდებარებოდნენ სახელმწიფო ხელისუფლებას, შინაცხოვეუბრივი კი საოგვებლაბრენენ გარეურლი დამოუკიდებლობით

ყოველ ამქარს ჰყავდა ხაზინადარი და სასამართლოს აღმასოულებელი. ამქრის თავი - ცსტაბშად წოდებული, და უხუცესები ამქრის მმართველობის ცველია ეს წევრი იყო საპატიო მოხელე და ლებულობდა მხოლოდ გარეურელ ანაზღაურებას, განდა სასამართლოს აღმასრულებლისა,

რომელიც იყვანილი იყო ამქრის მუდმივ თანაშრომლად და ლებულობდა ხელფასს.

ხაზინადარი კუებდა შენატანებს, გადასახდელებს და ჯარიმებს, რაც განკუთვნილი იყო ამქრის სალაროში შესატანად. ხაზინადარი სავსებით დამოუკიდებელი იყო უსტაბაშისა და უხუცესებისაგან იგი ანგარიშს უდ გუნდა მთელ კორპორაციას, რომელიც ყოველწლიურად ან ყოველთვიურად ამტებდა შემოსავლისა და გასავლის დავთრებს

ამქრის მმართველობის უძლეს თანამდებობას წარმოადგენდა სასამართლოს აღმასრულებელი. მის მოვალეობას შეადგენდა ამქრის სასამართლო განაჩენების, უსტაბაშის და უხუცესების ბრძანებების სისრულეში მოყვანა

ყოველი ამქრის სასახართლოა და აღმინისტრაციის მთავარ მმართველ პირებს წარმოადგენდნენ უსტაბაშები და უხუცესები კორპორაციის შინაგან ცხოვრებაში უსტაბაში ახორციელებდა მთელ მმართველობას და წევრების მიმართ პილიციურ ზედამხედველობას და ითვლებოდა კორპორაციის წამომიადგენლად ყველა მის გარეურთიერობაში იგი წარმართავდა კორპორაციის საქმეებს უცხვესებონ ერთად ისინი იყვნენ მისა დამამართონ და მოწილება უსტაბაში იყო მხოლოდ primus inter pares (პირველი თანასწორთა შორის) თუმცა ბრძანებები და განკარგულებები მისი სახელით გაუყოდ და, მაგრამ მნიშვნელოვნ საკითხებზე უხუცესებთან, ავტორითე კორპორაციის წამჩ-წერელ ისტატებთან წარადასწარი მთავარი უკავშირ იყო არაფერს ვალიურეტდა

უსტაბაში და უხუცესი წარმოადგენდნენ ამქრის სასახართლოს პარმელ ინსტანციას ასებ-ლი აღათას ძაბულით გასამართლებაში მონაწილეობის მიღება შეეძლო სხვა ისტატებსაც. რომელიც საუკებლობდნენ კორპორაციის პატ-ვასცემით და წოდით ამ სასამართლოს პქნეზდა ფართო იურისტუქცია. მის კამპენტენციის ეკუთვნოდა კორპორაციის წევრთა კერძო და პროფესიული ცხოვრების ყველა საქმე, გრძა სისხლის სამართლის საქმეებს ვანიჭისა.

ამქრის სასამართლო სარგებლობდა დიდი აგტორიტეტო მის განჩენებს ცნობდნენ ყველა სხვა ამქრების სასამართლოები სტადასსა და ამქრის წევრთა საღავო საუთხებს არჩევდა იმ კორპორაციულ გაერთიანებული სასამართლო, რომელთაც მოდეჯინ ეკუთვნოდნენ ასეთ სასამართლოში, ჩეკე-ლებრივ, მონაწილეობდნენ სხვა არადაწერესებული ამქრების წარჩინებული ისტატებიც

სასამართლო პროცესი ძალიან მარტივი იყო ყველა საღავო საყოთხი წყდებოდა დაკუმუნტებისა და მოწმეების ჩვენების საფუძველზე თუ არ არსებობდა დოკუმენტები და არ იყვნენ მოწმეები, მოდავების წრიალება ეძლეოდათ სარჩელის სისწორე ფიცის დადგებით „დაესაბუთებინათ“.

სასამართლოს მეორე ინსტანციას წარმოადგენდა ოსტატთა საერთო კრება, რომელსაც უსტაბაში იწვევდა და თვითონ თავმჯდომარეობდა ოსტატთა საერთო კრება იყო პირველი — უსტაბაშის და უხუცესების სასამართლოს მეურ გამოტანილი განაჩენის სააპელაციის ინსტანცია და მეორე — ამქრიდან გარიცხვის უფლების მქონე ერთადეოთი ორგანო ამქრებს ჰქონდათ კიდევ სხვა უფრო მაღალი სასამართლო ინსტანცია, რამელსაც შეაძლება მესამე ინსტანცია ეწიდოს ის შედგებოდა თორმეტი უსტაბაშისაგან და უფლებამოსილი იყო შეემოწმებინა დაბალი ინსტანციის სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენები.

უმაღლეს სასამართლო ინსტანციას წარმოადგენდა ქალაქის მელიქის, ანუ თევეს (der königliche Stadtgouverneur) სასამართლო. თუ ოსტატი არ ეთანხმებოდა ამქრის სასამართლოს განაცხის, მას უფლება ჰქონდა საჩივარი ამ ინსტანციაში შეეცავა მაგრამ ეს იშვიათად ხდებოდა, რადგან, ჩეულებრივ, კმაყოფილდებოდნენ კორპორაციის სასამართლოს გადაწყვეტილებით

60 ი. ა. წლებამდე რესეთის მთავობას ამქრების მაოთვა-გამზეობაში აზერბაზი ცვლილება არ შეუტანა. 1813 წელს ამქრები დაუქვემდებარეს ქალაქის გამკეობას, რაც აზერთა სისაცეს არ წარმოადგენდა, რადგან ამქრები წინათაც. ააქა აზერთას რესეთიან შეერთებამდეც, ემორი-ილებოდნენ ქართველ მეფეთა აღმინისტრაციას შეძღვომ, 1829 წლის 21 ოქტომბრის დაუკენილებით, უსტაბაშებსა და უხუცესებს ჩამოქრთვათ ამჭრის შეერთა შოთას საღაფა საკითხების განვითარების უფლება.

თბილისის ავქტული წყაზღულების მნიშვნელოვანი გარდაქმნა მოხდა 1867 წლის 5 აპრილის დადგენილებით<sup>1</sup>, რომელიც მხოლოდ ამ ქალაქის ამქრებს ეცნობოდა<sup>2</sup>. უპიოცელეს ყოვლისა, მან მოსპონ ვაკართა ამქრები თა თარიღი მხოლოდ ხელოსნითა მქრები. მოსპონ აკრეთევე უხუცესთა თანაცვებობები, ამქრის მთავარ ორგანიზ მხოლოდ უსტაბაში სცნონ და ზუსტად ჩამოაყალიბა<sup>3</sup> მისი უფლება-მოვალეობანი.

დაღვენრების შედევ, ისევ როვორც წინათ, მმართველობის სხვა ორგანიზ ითვლებოდა ამჭრის კრება მაგრამ მისი უფლებები ნაწილობრივ შეიცვალა უპიოცელეს ყოვლისა, მან ჩამოქრთვა სასამართლო ჩემცნებანი და ახალი ოსტატების აყანის უფლება გარდა ამისა, დადგენილ

<sup>1</sup> По Кавказскому календарю (1868) 5 марта

<sup>2</sup> დადგნოლებას ქონდა შემცვი სათარი „Положение о речесленихъ пакахъ (шевахъ) города Тифлиса и об ихъ управлении“ და მმართველობის მიერ გამოქვენებით იყო თუ ენაზე—რესტულად და ქართულად

<sup>3</sup> იბ. 65 24—29

ბამ მთელი ქალაქის ყველა ხელოსნის ან, უფორ სწორად, მათი წარმომადგენლების საერთო შეკრების მოწყობის ნება დართო<sup>1</sup>

დადგენილებით შეიქმნა აგრეთვე საერთო მმართველობის ორგანოები. ეს იყო ყველა ამქრის მთავარი უსტაბაში და „ხელოსანთა სამმართველო“ მთავარ უსტაბაშს ირჩევდა ხელოსანთა მთელი კლასი, იგი ითვლებოდა ყველა ხელოსნის წარმომადგენლად „ხელოსანთა სამმართველო“, რომელიც თბილისში 1852 წელს შეიქმნა და ორმელისაც უნდა გაეცრთია ნებინა ის უცხოელი ხელოსნები (რუსები, გერმანელები), რომელიც არ ეკუთვნოდნენ ამქრებს, 1876 წლის დადგენილების თანახმად, შედგებოდა მთავარი უსტაბაშისა, როგორც თავმჯდომარისა და ამქართა უსტაბაშებისაგან. ახალი ოსტატების მიღების უფლება გადაეცა ამ ინსტიტუტს გარდა ამისა, ამ დადგენილებამ მიაკუთხნა გას აგრეთვე განსაზღვრული სასამართლო რწმუნებანი<sup>2</sup>.

ეს დადგენილება უკვე გაუქმდებულია და დღეს თბილისის ამქრელი წყობილება და მმართველობა ემყარება „ხელოსნობის დებულებაში“<sup>3</sup> ასახულ კანონებს<sup>4</sup>.

ამ კანონების მიხედვით ერთი და იმავე იელობის ყველა ხელოსანი აყალიბებს ერთ ამქარს. ის აერთოანებს შესაბამისი ხელობის შეგირდებს. ქარგლებსა და ოსტატებს.

შეგირდის აყვანა ხდება მოვალი მოწმის თანდასწორებით და ამას მოჲ ყვება ხელშეკრულების დადება სასწავლო პერიოდის მაქსიმუმად დადგენილია 5 წელი, მინიმუმად 3 წელი ამ დოოის გასტვის შემდეგ შეგიოდი თავისი ოსტატისაგან ლებულობს მოწმობას და ამის საფუძველზე „ქარგლებს“ წოდებას<sup>5</sup>.

მან ქარგლად სულ მცირე 3 წელი უნდა იმუშაოს და მიაღწიოს 21 წლის ასაკს, რათა ოსტატის წოდება მოიპოვოს. ქარგლებს არა აქვთ უფლება დამოუკიდლად გახსნან სახელოსნო და გაყიდონ თავითო ნაწარმი<sup>6</sup>.

ყოველ ამქაოს პყავს თავისი „მმართველობა“, რომელიც შედგება ერთი უსტაბაშისა და ორი ოსაპკალისაგან. მათ ირჩევს ამქრის ყველა ოსტატი ერთ წლით მცირე წევრიან ამქარს აქვს მხოლოდ ერთი უხუცესის არჩევის უფლება ამქრის მმართველობა წარმართავს ამქრის შინაგან საქმეებს აქ ხდება ქარგლების და შეგირდების რეგისტრაცია და შე

<sup>1</sup> იბ 30—33.

<sup>2</sup> იბ §§ 9—23.


<sup>3</sup> „Свод законов Российской империи“, ტ. XI, ნაწ. 2.

<sup>4</sup> გვ. „ი 3 ე 6 ი ა“. 1899, № 207.


<sup>5</sup> იბ §§ 290—291

<sup>6</sup> იბ §§ 417—419, 423


<sup>7</sup> იბ 402, 406—407




ნალბანდების ამქრის დროშა



დურგლების ამქრის დროშა




ნის ჯამბა




ნის ბაფია



ଶୁଣ କାହିଁ—ଦ୍ୱାରାଙ୍କିତ ପାତାଳିନୀ




ଫଳଲାହୁର୍ମା ଡାଃ ଜୁଲ୍ଦା



ଶୁଣ ଥେବେଳ୍ଯୁଦୀ




ტექსტურით დაწინული კალათები და გოდორი




ჩიხრები (ბაზის სარჩევი)




თითისტარი და სახრელი



გოხა



მოხევური საქსოვი დაზგა




ტარდავის ქსოვა ფშაურ „კლანე“



• მ გ ე ბ ი •




დღეება თიბის სადღეობლივ



დღეება ბის სადღეობლივ




მეთუნის ძრავები



თხისა და ქვის კელები



ქვაბქოთანა და მარტვის ქილა



მოქანული ღოქი და სალვინე



დორა



ଭୁଲ୍ଲି ଡୋଫ୍




୩୦୩ମୋ



კის ვეზი




თოწე




სამეორენო ღუმელი; 1. წვრილი პურქლის, 2. ქვევების



კერამიკული ჭურჭლის გადაზიდვა



საწნახელი




კავშირის საწნების ჭავერი




ଓର୍ଯ୍ୟଶ ଗାମିନ୍ଦା




ପାତାଙ୍ଗରୀ




ହିନ୍ଦୁଶ୍ରୀ ଓ ଡାଳିଆ




ରୂପ୍ତାଳି ସାହେନ୍ଦ୍ରାଲି



ଅମ୍ବାରି ସାହେନ୍ଦ୍ରାଲି



ଶ୍ରୀତାରି



ଫାରତୁଲି ପ୍ରକଟି

ქოსავლისა და გასავლის დავთრების წარმოება უსტაბაშებისა და აღსაპ-  
რალების მოვალეობას შეადგენს ამქარში ოსტატების რაოდენობისა და  
ძათი მეურნეობრივი მდგომარეობის კოდნა, ოსტატებისაგან გადასახდელ-  
თა და შენატანთა შეკრება. ამქრის სალაროს გამგებლობა, ოსტატებს  
შორის დავის გადაწყვეტა, ხელსაწყო-იარაღებისა და შესრულებული სა-  
შეშანს ხარისხის კონტროლი, ზრუნვა ავალყოფა და გაჭირვებულ ოსტა-  
ტებზე, შეგირდებისა და ქაოგლების გამოცდა მრავალი ოსტატის თან-  
დასწრებით და ა შ 1

უკელა უსტაბაში და კოველი ამჭოისაგან ორ ორი სპეციალური ოწმუ-  
ნებული ოსტატთა წოდებითნ ირჩევენ ხელოსანთა მთავარ უსტაბაში. რომელსაც კუბეონატოლი ამტკიცებს იგი უკელა ხელოსნის წარმომად-  
კენელა და ოსტატთა კრებაზე აქვს ორი ხმა მის ნებადაურთველად ოს-  
ტატთა კრება ვერ შედგება ხელოსანთა წოდების საკითხების განხილვი-  
სას მას იწვევენ თავისი აზრის გომოსათქმელად ქალაქის გამგეობაში მას  
აქვს უფლება 1 მოიწვოს უხუცესები კრებაზე, 2 აიძულოს ისინი სა-  
სწრაფოდ მეასოულონ ქალაქის გამგეობის ბრანგებები და მოაგვარონ საქ-  
მებები და საკირზ შემთხვევაში დასაქოს ისინი; 3 თვალყური ადევნოს  
უსტაბაშებისა და აღსაპალების თანმდებობრივ საქმიანობას და საჭირო  
მემთხვევაში გადაყენონ კიდევ; 4 შეამოწმოს ყოველი ოსტატის მუშაო-  
ბა და დასაქოს აპარატები მუშაობისათვის; 5. წამოიყვანოს უკარგისი  
ოსტატისაგან შეგირდი და იგი სასწავლებლად მიაბაროს უკეთეს ოსტატს;  
6. შეამოწმოს ამქრის და ხელოსანთა საერთო სალაროები<sup>2</sup>

უკელა ამქრის უმარლესი მმართველობა კონცენტრირებულია „ხე-  
ლოსანთა საერთო გამგეობაში“<sup>3</sup>. ის შედგებ ხელოსანთა მთავარი უსტაბა-  
შისა და აეჭრების უსტაბაშებისაგან. იგი ზრუნავს ხელოსნების კეთილდ-  
ლებაზე, მათს ობლებსა და კვრივებზე მის ნებადაურთველად ამქარში  
ვერავის მიიღებენ და ვერავის გარიცხავენ, თვალყურის აღევნებს ხელო-  
სნების მიერ გადასახდელთა გატუმრებას; მართვეს ხელოსნების საერთო  
სალაროს აქლევს ხელოსნებს აბრებსა და პასპორტებს, ოსტატობის მოწ-  
მოებს ქარგლებს. რომელებმაც ჩაბარეს გამოცდები ამტკიცებს ამქ-  
რების უხუცესებს და აღსაპალებს. „ხელოსანთა საერთო გამგეობას“  
მინაკებული აქვს განსახლერული სამოსამართო უფლებები<sup>4</sup>

ამქრებს აქვთ თავითო კოებები, როგორც უთითოეულს ცალკე, ისე  
ყველას ერთად. საკითხები. ომელთაც ამქრის კრებაზე განიხელავენ,

<sup>1</sup> §§ 336—337, 339—343, 345, 349, 352

<sup>2</sup> §§ 305—306, 308—309, 311, 314, 316

<sup>3</sup> §§ 319, 321—323, 327, 329, 330, 332, და შენიშვნა

ეხება მხოლოდ ამ ამქარს, ყველა ოსტატის კრება კი არჩევს საქმეებს. რომელიც ეხება ხელოსანთა მთელ კლასს!

ქალაქ ქუთაისში 1883 წლიდან არსებობს ე.წ. „ხელოსანთა გამგებ-ლობა“<sup>1</sup>, რომელიც ზემომოყვანრლისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ის ხასათდება იმით, რომ ხელოსანები არ არიან ამქრებად დაყოფილი. იმ ქალაქებში, სადაც დაღვენილია ამქრებისა მართვის წესი, როგორიცაა თბილისი, ყველა ოსტატს უფლება აქვს მხოლოდ მაშინ მოპეიდოს ხელი სხვა ამქრების სამუშაოს, თუ ეს საჭიროა მისი პროდუქციის საპლატო დამთავრებისათვის და ამ შემთხვევებშიც მხოლოდ იმავე ამქრების ქარგლებს შეასრულებინოს ეს სამუშაო (§ 396). ქუთაისში, კანონის მიხედვით, ყოველ ხელოსანს უფლება აქვს ერთდროულად ეწეოდეს ხელოსნობის რამდენიმე სახეობას<sup>2</sup>.

„ხელოსანთა გამგებლობა“ ხელოსნებში განასხვავებს ისტატებსა და „ხელოსან მუშებსა“. ყველა ისინი შეაღენენ ხელოსანთა კლასს, რომელიც ექვემდებარება „სახელოსნო სამბართველოს“. მას ხელმძღვანელობს ერთი უსტაბაში და ორი ალავალი, რომელიც ირჩევს ისტატების საერთო კრება სამი წლით. „სახელოსნო სამმართველოს“ აქვს იგივე სამეურნეო და სამოსამართლო უფლებები, რაც „სერიო სამმართველოს“ თბილისში<sup>3</sup>.

ამრიგად, ამქრებსა და უსტაბაშებს ქუთაისში ოფიციალურად არ სცნობენ, ფაქტურად კი ოჩივე არსებობს<sup>4</sup>.

ხელოსნების ორგანიზაციის ასეთი საკინომდებლო რეგულირება, როგორც ქუთაისში, სხვა უფრო პატარა ქალაქებშიც უნდა არსებობდეს, თუმცა იქ ხელოსნები, ძველი დათის უსტაბები, ისევ ამქრებს აყალიბებენ.<sup>5</sup>

<sup>1</sup> გვ. 356—363

<sup>2</sup> პლ. „კ ვ ა ლ ი“ 1898, გვ. 597 და შემოგვ.

<sup>3</sup> გ. 463

<sup>4</sup> გვ. 464—477.

<sup>5</sup> პლ. „კ ვ ა ლ ი“ იქვე

<sup>6</sup> იქვე.

### III. კაპიტალისტური წარმოშბა

ამ შემოსის დასაწყისშივე იყო ნათქვამი, რომ საქართველოში XIX საუკუნის დამდეგიდან, და განსაკუთრებულ მის მეორე ნახევარზე, მნიშვნელოვნად განვითარდა ვაჭრობა, რომ მოწინავე ქვეყნებიდან ხელოსნობის პროდუქციის იმპორტმა ღადად გაზიარდა აღგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებანი და რომ, მიმოქცევის განვითარებამ და სალფლო-საძეურნეო პროდუქციის გასაღების სფეროს გაფართოებამ შექმნა მათი დაქმაყიფულების შესაძლებლობა ეს განვითარება დღესაც განუხრელად მიღის წინ რაც უფრო იზრდება მოთხოვნილებანი, რაც უფრო მეტად ქრება ძველი ხელუსნობა და იზრდება გადასახადები, მით უფრო იზრდება გლეხობის ფელის მოთხოვნილებაც სოფლის მეურნეობა სულ უფრო დებულობს საქანლური წარმოების ხასათის, რის შედეგადაც გლეხები უფრო მეტად ხდებიან დამოკიდებული გასაღების პირობებშიც და ამრთ ვაკრაპასა და ვაჭრებზე. განსაღი კრედიტის უქონლობრისა და ქვეყნაში კომპეტაციის სუსტი განვითარების პირობებში შევახდეობს განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები ექმნება თავისი დამღუპეველი საქმიანობისათვეს

მართალია, მევახშეობა არაა მხოლოდ უახლესი დროის მოვლენა, იგი უფრო აღრეც არსებობდა<sup>1</sup>, მაგრამ საგამშო კაპიტალს არასოდეს ჰქონია საქართველოში ასეთი უსაზღვრო თვითნებური თარების შესაძლებლობა, როგორც ამგამადა. ცული მოსავლი, სიკეთლის შემთხვევა, ქორწილი, გადასახადის გადახდის ვადა, კველუფები ეს ერევებ გლეხს მევახშეობას, რომელიც იყენებს მის მდგომარეობას და ყველვეფს მას. მოკლე ხნისწინ ერთი ქართული გაზეთი ახალქალაქის მევახშეობის დასხარა-თებლად შემდეგს წერდა<sup>2</sup>. „12 წლის წინ ერთმა გლეხმა... ცესხა ერთი მევახშისაგან 80 მანეთი. დღემდე მას გადაუხდა ამ ნასესხები კაპიტალის სარგებლის სახით 10 ხარის ღირებულები—260 მ.ნეთი და 2 კ.მეტის ღი-რებულება—234 მანეთი და მარც მართვებს მევახშეს კრდევ 234 მ.ნეთი“.

<sup>1</sup> შვერ კაბენგ VI სამართლის წიგნთა კრებული, გვ. 38, § 116. ნაკრა-დე დ. მ. ნ. ბერძენი, ჩ. ი. ივევ, გვ. 101.

<sup>2</sup> „იურია“, 1898, № 261.

განეთი დაქანონის, რომ იმ დროის ამავე მიზრის 10 სოფლის თემს კუნის ერთ მილობონ მანეთზე მეტი მეტაზოგრადი ვალი

გაშინაც, როდესაც გლეხს გასაყიდა აქვს სიფლის მეურნეობის პრ-  
დუქტები, იგი ისევ უვარდება ხელში მევანშეს, რომელიც საკუთრივ მე  
ვაძებობასთან ერთად გვერდობასაც მისდევს. მაგალითად, თბილისის სრა-  
ჭების შესახებ აგრძონობი ნ. ტიმოფეევი გვაძონობს შემდეგას: „მათ ერთ-  
მანეთთან შეთანხმებული მოქმედების მიზნით შეკმინილ აერთ გილდია  
ისინი ინაწილებენ ლვინის წარმოების ჩაითვას. ერთმანეთს საქმე რომ  
არ გაუფერონ, მიღიან იმ ადგილებში, სინჯავენ ლვინოს და ინიშანავენ,  
თუ რ ფასი შეაძლიერს მწარმოებლებს... როცა მწარმოებელი მეგაზშის  
მიერ შეთავაზებულ ფასზე მეტს მოითხოვს, შემდეგ მოსული ვაკრები  
უფრო დაბალ ფასს შეაძლევენ, ისე რომ საბოლოოდ მწარმოებელი პირ  
ველ ვაკას უყურებს როგორც კეთილისმყოფელს, რაც ეგი პრეცედენტ  
შეთავაზებული ფასის გადახდას თანხმდება. მეგაზშები სშირად იყენებენ  
აგრეთვე შეამკლებს... ხშირ შემთხვევებში ისინი გლეხებს ფულს წინდა  
წინ ადლევენ, ყალიბობენ აგრეთვე მომავალი წლის ყურძნის მოსავალ-  
მათ მიერვე დაწესებული ფასით პროდუქტის უდიდეს ნაწილს დებუ-  
ლობენ ზომაგადასული სარგებლის სასწაო”

მეცნაშეობა საქართველოში ამჟამად მწევავ საკითხს წარმოადგენს. მან ქვეყნაში ღიღი გულისტყრობა გამოიწყო განსაკუთრებულ საზოგადოების განათლებულ წევებში. რომელნაც ცდილობენ თუმცადა დღემდე თითქმის უშედეგოდ, გამსესხებდელი სლაბირინთისა და ვამსალებლი ამანაგობების საუკუნებით შეებრძოლონ მეცნაშეობას ეს გულრისყრობა მა მით უფრო დიდია. რომ ამ მეცნაშეობას ეწევან უმთავრესად უცხოურობის წარმოადგენერები

